



**სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი**  
**ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური**

**სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი**  
**სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის წესი**

**დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2017 წლის 20 ნოემბერს**  
**(დადგენილება N 18/4 ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს მიერ 2018 წლის 02**  
**თებერვალს, დადგენილება N3)**

ეს წესი არეგულირებს სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის პროცედურებს.

სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვა მოხდეს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების N825 – 27.12.2017 (სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხ პირთა ადგილების თავისუფალი რაოდენობის გამოთვლის წესის დამტკიცების შესახებ) გათვალისწინებით.

ამასთან, სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად განისაზღვროს შემდეგი ფაქტორების გათვალისწინება:

1. სასწავლო ფართი (აუდიტორიები, საპროფესოროები და სხვა);
2. საშემსრულებლო - შემოქმედებითი პროცესისთვის აუცილებელი ფართი (სცენა, სტუდია, ლაბორატორია, დარბაზი, პავილიონი და სხვ.);
3. საშემსრულებლო - შემოქმედებითი პროცესისთვის აუცილებელი ინვენტარი (აპარატურა, სასცენო რეკვიზიტები, შესაბამისი მუსიკალური ინსტრუმენტები, კოსტუმები და სხვ.);
4. დამხმარე ფართი;

5. საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა;
6. აკადემიური პერსონალის რაოდენობა;
7. საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და საბიბლიოთეკო რესურსების ხელმისაწვდომობა;
8. საგანმანათლებლო პროგრამების თავისებურება;
9. გარე ფაქტორები (აბიტურიენტთა რაოდენობა; განათლების ბაზრის მოთხოვნები; ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორები - სახელმწიფოს მიერ სწავლის დაფინანსების სისტემა, სტუდენტთა გადამხდელუნარიანობა და სხვ.)

უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინენტის დაგეგმვა განხორციელდეს ზემოთჩამოთვლილი ფაქტორების გათვალისწინებით:

ა) ერთ სტუდენტზე/პროფესიულ სტუდენტზე (არსებობის შემთხვევაში) უნდა მოდიოდეს არანაკლებ 4 კვ. მეტრის ფართი, მათ შორის 2 კვ. მ. სასწავლო ფართი და 2 კვ. მ. დამხმარე ფართი.

ბ) საშუალოდ, 20 საგანმანათლებლო პროგრამის არსებობის შემთხვევაში, აკადემიური პერსონალის თვალსაზრისით, სტუდენტთა კონტინენტის განსაზღვრა მოხდეს შემდეგნაირად - პროფესორის, ასოცირებული პროფესორის და ასისტენტ-პროფესორის, ასისტენტის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტთა რაოდენობასთან უნდა იყოს 1/10- ჰუმანიტარული მეცნიერებების, სოციალური მეცნიერებების, ბიზნესის ადმინისტრირებისა და ტურიზმის მიმართულებით, ხოლო ხელოვნების/საშემსრულებლო ხელოვნების მიმართულებით - 1/4(საშუალოდ).

გ) უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტთა ხელმისაწვდომობა საინფორმაციო ტექნოლოგიების, საბიბლიოთეკო რესურსებისა და შემოქმედებითი პროცესისთვის აუცილებელი აპარატურისა თუ სხვა ინვენტარის თვალსაზრისით. ამ შემთხვევაში ყურადღება ექცევა სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომ, ინტერნეტში ჩართულ კომპიუტერების რაოდენობასა და ბიბლიოთეკების ნომინალურ ტევადობას, თუმცა გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ სტუდენტებისათვის ელექტრონული რესურსები შესაძლოა ხელმისაწვდომი იყოს საუნივერსიტეტო სივრცის გარეთაც.

დ) უნივერსიტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე, საერთო საუნივერსიტეტო რეგულაციების ფარგლებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ასევე საგანმანათლებლო პროგრამების თავისებურებებს, რომლის გათვალისწინებითაც შესაძლოა სტუდენტთა კონტინენტის დაგეგმვისთვის მნიშვნელოვანი სხვა ფაქტორების გამოკვეთა. სტუდენტთა საერთო რაოდენობის განსაზღვრისა და დადგენის პროცესში ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი და საჭიროებანი (სპეციალური ლაბორატორიები, სტუდიები, სცენები, დარბაზები და სხვა).